საქართველოს მთავრობის

დადგენილება №120

2026 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 მარტის №84 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 მარტის №84 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/03/2024, 040030000.10.003.024477) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

„მომსახურების საფასური ერთ მსმენელზე (დღგ-ის ჩათვლით)

№	მომსახურების დასახელება	განზომილება	მსმენელი	ერთეულის ფასი (ლარი)
1	საკლასო ფორმატში ტრენერის მომსახურება როგორც დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ, ისე სკოლის სარგებლობაში არსებულ სივრცეში	კაცი/საათი	1	30
2	დისტანციურ რეჟიმში მომსახურება	კაცი/საათი	1	20.“.